09.07.2021

ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის მე-16 არეალის
განაშენიანების გეგმის კონცეფციის
საჯარო განხილვის ოქმი

შეხვედრის დეტალები

შეხვედრის ადგილი	**დაბა ბაკურიანი, დ. აღმაშენებლის ქ. N5 (კინოთეატრი)**
შეხვედრის თარიღი	09/07/2021 წ.
შეხვედრის დაწყების დრო	13:00 სთ.
შეხვედრის დასრულების დრო	15:06 სთ.
ღონისძიების დამგეგმავი ორგანო	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
დამგეგმავი ორგანოს წარმომადგენლები	სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, ნინო გვენცაძე; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, მზია გიორგობიანი.
პროექტის საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, პრეზენტაციებს უძღვებოდნენ:	შპს „ბაუ დიზაინის“ დირექტორი, მიხეილ ბალიაშვილი
შეადგინა	ნიკა მესხიშვილი

საჯარო განხილვას ესწრებოდნენ:

სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლები:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის, ურბანული განვითარების სამმართველოს უფროსი **– ქალბატონი სოფიკო მაისურაძე;**
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის, ურბანული განვითარების სამმართველოს, მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ბატონი ნიკა მესხიშვილი;**

შემსრულებელი საკონსულტაციო კომპანია - შპს „ბაუ დიზაინის" წარმომადგენლები - **ბატონი მიხეილ ბალიაშვილი**

განხილვას ასევე ესწრებოდნენ დაინტერესებული პირები და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

განხილვის მიზანი:

- ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის მე-16 არეალის განაშენიანების გეგმის კონცეფციის საზოგადოებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა;
- საზოგადოების/დაინტერესებული მხარეების მხრიდან, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა;
- შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ, საზოგადოების წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების განხილვა;
- შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი მხედველობაში მიღება.

საჯარო განხილვის მსვლელობა

საჯარო განხილვა დაიწყო დათქმულ დროზე (13:00) 15 წუთით გვიან. გახსნითი სიტყვა წარმოთქვა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის, ურბანული განვითარების სამმართველოს უფროსმა - ქალბატონმა სოფიკო მაისურაძემ. მან დამსწრე საზოგადოებას მოკლედ მოახსენა კონფეცფიის შესახებ.

გახსნითი სიტყვის შემდეგ კონცეფციის ავტორმა ბატონმა მიხეილ ბალიაშვილმა წარმოადგინა ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის მე-16 არეალის განაშენიანების გეგმის კონცეფციის დოკუმენტაცია.

მან დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია შემდეგი საკითხების შესახებ:

- დამგეგმავი და უფლებამოსილი ორგანოები;
- ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის მე-16 არეალის განაშენიანების გეგმის შემუშავების მიზნები და პირობები;
- N16 არეალის სამშენებლოდ განვითარების ხედვა, გზების, რეკრეაციული სივრცეების, სამშენებლო მიწის ნაკვეთების (სამომავლო რეგისტრაციები) ჩვენებით.

- განაშენიანების გეგმის (გგ) კონცეფციაში შემავალ განაშენიანების დეტალური გეგმის (გდგ) არეალებზე: გდგ-ის არეალი N9 არეალის განვითარების პირობები.
- კანონმდებლობით განსაზღვრულ შეთანხმების პროცედურები.

კითხვა-პასუხის რეჟიმი

პრეზენტაციის დასრულების შემდგომ განაშენიანების გეგმის კონცეფციის საჯარო განხილვა გადავიდა ე.წ. კითხვა პასუხის რეჟიმზე. კითხვებს, შენიშვნებს, მოსაზრებებსა და ინიციატივებს წარმოადგენდნენ როგორც სახელმწიფო ორგანოს, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები და საზოგადოების მხრიდან დაინტერესებული პირები. პროექტის ავტორის მიერ ყველა შეკითხვაზე გაცემულ იქნა პასუხი.

შეჯამება

საბოლოო სახით შეიძლება ითქვას, რომ დამსწრე საზოგადოებამ აღნიშნული დოკუმენტის მნიშვნელობაზე გაამახვილეს ყურადღება და უმრავლესობამ დადებითად შეაფასა წარმოდგენილი საკითხი. ასევე რაც შეეხება N9 არეალს მასში შემავალი მიწის ნაკვეთების მესაკუთრის წარმომადგენლებს განემარტა რომ მათი ნაკვეთების საერთო კონტური გგ-ის კონცეფციის შესაბამისად რჩება უცვლელი, შესაბამისად მესაკუთრეს ექნება საშუალება გდგ-ის დამუშავებისა, სხვა მესაკუთრეების ნაკვეთებთან კვეთის გარეშე. სხვა ტერიტორიებისათვის (1-8 გდგ-ის არეალები) გდგ-ის დამუშავება შესაძლებელი იქნება მხოლოდ დამტკიცებული გგ-ის მიხედვით ნაკვეთების კონფიგურაციის ცვლილების შემდეგ.

საერთო ჯამში პროექტი მოწონებულ იქნა, მოქალაქე მადლენა ხადურის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს თავისი მოსაზრება რომ იმსჯელებდნენ და გადაწყვიტავდნენ მისაღები იქნებოდა თუ არა მათთვის წარმოდგენილი პროექტი.

ასევე, აღინიშნა რომ 30 ივლისის ჩათვლით ელექტრონულად მოხდება პროექტთან დაკავშირებით შენიშვნების მიღება.

ოქმის სისწორეს ვადასტურებ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის, ურბანული განვითარების სამმართველოს უფროსი

სოფიკო მაისურაძე 16.07.2021